

**სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
მიკრო ბიზნეს კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგება**

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

*2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
საანგარიშგებო წლებისათვის*

*(თარგმანი)*

**შინაარსი:**

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....3  
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა..... 4

**ფინანსური ანგარიშგებები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....5  
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....6  
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ.....7  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....8

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია .....9  
2. მომზადების საფუძვლები.....9  
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....10  
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....21  
5. ფული და ფულის ეკვივალენტები .....23  
6. გაცემული სესხები.....23  
7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები .....25  
8. სხვა აქტივები .....26  
9. მოგების გადასახადი.....26  
10. მიღებული სესხები .....27  
11. სხვა ვალდებულებები .....28  
12. საწესდებო კაპიტალი.....29  
13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....29  
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....30  
15. პირობითი ვალდებულებები.....30  
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....31  
17. კაპიტალის მართვა .....37  
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....37  
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....38

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“**

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

---

წინამდებარე განაცხადი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობებთან ერთად (მოცემულია მე-4 გვერდზე) მიზნად ისახავს, რომ ერთმანეთისგან განასხვავოს მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადის მოძრაობასა და კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებს ზემოთაღნიშნული წლებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია, რომ:

- ამოირჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო პრინციპები და თანმიმდევრულად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს გონივრული და წინდახედული შეფასებები;
- განაცხადოს მოხდა თუ არა ფასს-ების მოთხოვნების დაცვა, ხოლო არსებითი დარღვევის შემთხვევაში განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის პრინციპით, ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია, რომ:

- შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის სისტემა კომპანიაში;
- აწარმოოს და შეინარჩუნოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელიც საიმედოდ და ზუსტად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ნებისმიერი დროისთვის და რომელიც უზრუნველყოფს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იყოს ფასს-ებთან შესაბამისობაში;
- შეინარჩუნოს სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების დაცვით, იმ იურისდიქციის შესაბამისად რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს;
- იმოქმედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს კომპანიის აქტივების დაცვა; და
- აღმოაჩინოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2014 და 2013 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის მენეჯმენტის სახელით დამტკიცებულია 2015 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_

გია პეტრიაშვილი

ფინანსური მენეჯერი \_\_\_\_\_

თათია ჯაჯანაშვილი

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის” (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 და 2013 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამართლიან წარდგენაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც მენეჯმენტის რწმენით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

### აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ეთიკის ნორმების დაცვით დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რათა მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენასთან მიმართებით, რათა დაგეგმოს პროცედურები არსებული გარემოებების შესაბამისად და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპებისა და გადაწყვეტილებების სათანადოობის შეფასებას, ასევე, ზოგადად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ფინანსურ მდგომარეობას 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღში დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

24 აპრილი, 2015

თბილისი, საქართველო

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	835,610	296,176
გაცემული სესხები	6	7,790,196	3,811,109
ძირითადი საშუალებები	7	182,281	104,850
არამატერიალური აქტივები	7	34,510	43,671
სხვა აქტივები	8	69,760	10,965
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	9	26,690	36,779
<b>მთლიანი აქტივები</b>		<b>8,939,047</b>	<b>4,303,550</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	10	6,982,266	2,515,552
სუბორდინირებული სესხები	10	1,279,189	1,191,809
სხვა ვალდებულებები	11	64,625	51,099
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>		<b>8,326,080</b>	<b>3,758,460</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	12	742,500	742,500
აკუმულირებული დეფიციტი		(129,533)	(197,410)
<b>მთლიანი კაპიტალი</b>		<b>612,967</b>	<b>545,090</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>8,939,047</b>	<b>4,303,550</b>

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2015 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_

გია პეტრიაშვილი

ფინანსური მენეჯერი \_\_\_\_\_

თათია ჯაჯანაშვილი

9-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშება

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2014	2013 *
საპროცენტო შემოსავლი	13	1,808,137	400,513
საპროცენტო ხარჯი	13	(828,624)	(180,133)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე</b>		<b>979,513</b>	<b>220,380</b>
სესხების გაუფასურების ხარჯი	6	(158,309)	(80,537)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>821,204</b>	<b>139,843</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(341,145)	(161,708)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(427,830)	(228,458)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		38,963	16,134
<b>მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე</b>		<b>91,192</b>	<b>(234,189)</b>
მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	9	(23,315)	36,779
<b>პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)</b>		<b>67,877</b>	<b>(197,410)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>პერიოდის სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>		<b>67,877</b>	<b>(197,410)</b>

\* პერიოდი დაარსებიდან (2012 წლის 6 დეკემბერი) 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

ძირითადი და განზავებული მოგება (ზარალი) ერთ აქციაზე შეადგენს 0.091 და (0.266) ლარს შესაბამისად 2014 წლის და 2013 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის.

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2015 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ გია პეტრიაშვილი

ფინანსური მენეჯერი \_\_\_\_\_ თათია ჯაჯანაშვილი

9-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული დეფიციტი	სულ
საწესდებო კაპიტალის ზრდა	12	742,500	-	<b>742,500</b>
პერიოდის სრული ზარალი *		-	(197,410)	<b>(197,410)</b>
<b>ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>742,500</b>	<b>(197,410)</b>	<b>545,090</b>
პერიოდის სრული შემოსავალი		-	67,877	<b>67,877</b>
<b>ბალანსი 2014 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>742,500</b>	<b>(129,533)</b>	<b>612,967</b>

\* პერიოდი დაარსებიდან ( 2012 წლის 6 დეკემბერი) 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2015 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ გია პეტრიაშვილი

ფინანსური მენეჯერი \_\_\_\_\_ თათია ჯაჯანაშვილი

9-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2014	2013 *
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		91,192	(234,189)
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯი	6	158,309	80,537
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	14	37,224	14,390
დარიცხული პროცენტის ნეტო ცვლილება		(56,528)	(44,114)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		203,034	171,245
<b>ფულადი ნაკადების შემოდინება (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>433,231</b>	<b>(12,131)</b>
<b>საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>			
საოპერაციო აქტივების შემცირება:			
გაცემული სესხები		(4,036,469)	(3,825,063)
სხვა აქტივები		(58,795)	(10,965)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა:			
სხვა ვალდებულებები		301	16,039
<b>ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(3,661,732)</b>	<b>(3,832,120)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(105,494)	(117,106)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(10,745)
<b>ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(105,494)</b>	<b>(127,851)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:</b>			
შემოდინება მიღებული და სუბორდინირებული სესხებიდან		6,201,016	3,550,345
მიღებული და სუბორდინირებული სესხების დაფარვა		(1,902,620)	(34,124)
შემოდინება საწესდებო კაპიტალის ზრდიდან	12	-	742,500
<b>ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>4,298,396</b>	<b>4,258,721</b>
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		531,170	298,750
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	5	<b>296,176</b>	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ნეტო ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		8,264	(2,574)
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	5	<b>835,610</b>	<b>296,176</b>

\* პერიოდი დაარსებიდან ( 2012 წლის 6 დეკემბერი) 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2015 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი \_\_\_\_\_ გია პეტრიაშვილი

ფინანსური მენეჯერი \_\_\_\_\_ თათია ჯაჯანაშვილი

9-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

“მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (“კომპანია“) ქართული კანონდებლობის შესაბამისად.

კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (“სებ“) მიერ.

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში კომპანია გასცემს მიკრო და მცირე სესხებს (50,000 ლარამდე) საქართველოში. სესხები გაიცემა დოლარსა და ლარში.

სათავო ოფისთან ერთად, რომელიც მდებარეობს: საქართველოში, ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. № 41. კომპანიას გააჩნია ორი სერვის ცენტრი თბილისში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2013: ერთი).

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან:

აქციონერი	31 დეკემბერი 2014			31 დეკემბერი 2013		
	აქციების წილი %	აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება	აქციების წილი %	აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება
გია პეტრიაშვილი	33.3%	247,500	247,500	33.3%	247,500	247,500
ამბროლაძე მურმანი	16.7%	123,750	123,750	16.7%	123,750	123,750
მაზიაშვილი თენგიზი	11.1%	82,500	82,500	11.1%	82,500	82,500
ნიჟარაძე ტარასი	11.1%	82,500	82,500	11.1%	82,500	82,500
გოთოშია გიორგი	11.1%	82,500	82,500	11.1%	82,500	82,500
მელაძე გოდერძი	11.1%	82,500	82,500	11.1%	82,500	82,500
ვაჩნაძე გიორგი	5.6%	41,250	41,250	5.6%	41,250	41,250
<b>მთლიანი გამოშვებული აქციები</b>	<b>100.0%</b>	<b>742,500</b>	<b>742,500</b>	<b>100.0%</b>	<b>742,500</b>	<b>742,500</b>

კომპანიის საწესდებო კაპიტალის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. შენიშვნა 12.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კაპიტალის ზრდის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხ. შენიშვნა 19.

#### 2. მომზადების საფუძველები

##### ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

##### შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა და უზრუნველყოფაში ჩადებული და ჩამორთმეული ქონებებისა, რომლებიც საწყისი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის წარმოადგენს პერიოდს კომპანიის დაარსების თარიღიდან (2012 წლის 6 დეკემბერი) 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

ფინანსური ანგარიშგებაში მსჯელობის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი შეფასებები და გადაწყვეტილებები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

### საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ კომპანია ფუნქციონირებადია და გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და მფლობელებს განზრახული აქვთ, უფრო მეტად განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია შეესაბამება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ამ შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წელსთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება ფინანსურ ანგარიშგებაში.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### *შეფასების ძირითადი ტერმინები*

ფინანსური ინსტრუმენტები, მათი კლასიფიკაციისა და მიხედვით, წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, სხვადასხვა პირობების შესაბამისად, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი:

**რეალური ღირებულება** განისაზღვრება, როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციის დროს ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მაგალითია აქტიურ ბაზარზე არსებული ფასი. აქტიურ ბაზარში იგულისხმება, ისეთი გარემო, სადაც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება და ფასის შესახებ მუდმივად არსებობს ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე არსებული რეალური ღირებულება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა ყიდვა-გაყიდვაც შესაძლებელია აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება კოტირებული ფასისა და კომპანიის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბაზარზე ყოველდღიური საშუალო ვაჭრობის მოცულობა არაა საკმარისი და ერთ ოპერაციას შეუძლია მოახდინოს ფასზე გავლენა.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**თვითღირებულება** არის გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რომელიც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

**ამორტიზებული ღირებულება** არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებულ იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

**ტრანზაქციის ხარჯი** მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული, თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდებიან აგენტებს (მათ შორის, თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახადსა და ვალდებულებებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

#### (ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

#### რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

#### დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

#### სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენას ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

#### (ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

#### ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### (გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

#### (დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

#### (ე) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ დაადგინოს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, კომპანია ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცილება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას;
- მსესხებელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციით;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებებით არის გამოწვეული და რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება გაუარესებული საბაზრო მდგომარეობის გამო.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება ინდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ ასებობს, არ იყოს გათვალისწინებული. თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშის გავლით, რომ შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დონემდე (რომელიც შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია) დადისკონტირებულს აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც აქტივის გაყიდვით მიიღება გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით იმის მიუხედავად, მოსალოდნელი არის თუ არა აქტივის გაყიდვა.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

**მოთხოვნები ბანკების მიმართ**

მოთხოვნები ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც კომპანია კონტრაგენტ ბანკებში განათავსებს თანხას სამ თვეზე მეტი ვადით და თუ გამიზნული არა აქვს განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები ამ კონკრეტულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული მიღების ვადა. ბანკებიდან მისაღები თანხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

**ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთისა (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით
ტექნიკური აღჭურვილობა	5
კომპიუტერული პროგრამა	5

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

#### მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

#### სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით. ნებისმიერი ნამეტი თანხა, რომლითაც მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება გადააჭარბებს ნომინალურ ღირებულებას, აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

#### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოიდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარციხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

#### მოგების გადასახადი

პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალთან ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება, შესაბამისად, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარციხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.



### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

#### განუსაზღვრელი საგადასახადო პოციზიები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო საკითხები ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფასდება მენეჯმენტის მიერ. კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის მიხედვით, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადების დარიცხვას. შეფასება დაფუძნებულია იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციაზე, რომელიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის და ნებისმიერი ამ საკითხთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილება ცნობილია. ჯარიმებიდან და პროცენტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, ასევე სხვა გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება მენეჯმენტის მიერ იმ თანხის საუკეთესო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად.

#### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალს ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდევენ პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგ.: კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. კომპანიის მიერ მიღებული სესხთან დაკავშირებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე.

როდესაც სესხებისა და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვოა, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები, ზოგადად, ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ.: სესხების, წილებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რომლის გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

#### დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იმიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

#### შემოსავალი ერთ აქციაზე

შემოსავალი ერთ აქციაზე (“EPS”) განისაზღვრება მოგების ან ზარალის გაყოფით საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით გამოშვებული აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

#### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	USD / GEL	EUR / GEL
გაცვლითი კურსი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	1.8636	2.2656
გაცვლითი კურსი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	1.7363	2.3891

#### ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა არის თანმიმდევრული ყველა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდისათვის. არც ერთ ახალ და შეცვლილ ფასს და ფასსიკ-ს, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2014 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**“ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა ” - შესწორებები ბასს 32-ში** (გამოცემულია 2011 წლის დეკემბერში და ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან)

ბასს 32-ის შესწორება განიხილავს იმ შეუსაბამობებს, რომლებიც გამოვლინდა ურთიერთჩათვლის რამდენიმე კრიტერიუმის გამოყენებისას. აღნიშნული გულისხმობს ფრაზის “ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” დაზუსტებას და იმის განმარტებას, რომ ანგარიშსწორების ზოგიერთი სისტემა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც წმინდა ანგარიშსწორება. სტანდარტი განმარტავს, რომ ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად აღსრულებადი ყველა შემდეგი გარემოებისათვის: (i) ბიზნესის ნორმალურ ციკლში, (ii) ვალდებულების შეუსრულებლობის და (iii) გადახდის უუნარობის და გაკოტრების შემთხვევაში.

აღნიშნულ შესწორებულ სტანდარტს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასიკ 21 – “მოსაკრებლები”** (გამოშვებულია 2013 წლის 20 მაისს და ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან)

ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება ხელისუფლების მიერ დაწესებულ ყველა საგადასახადო ვალდებულებაზე, გარდა მოგების გადასახადისა. მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის ვალდებულებას, არის კანონით დადგენილი მოვლენა, რომელიც იწვევს დაკისრებული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. ის ფაქტი, რომ საწარმო ეკონომიკურად იძულებულია გააგრძელოს საქმიანობა მომავალ პერიოდში ან ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, არ ქმნის მავალდებულებელ მოვლენას. აღიარების იგივე პრინციპები გამოიყენება შუალედური და წლიური ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაშიც. ინტერპრეტაციის გამოყენება ვალდებულებებისათვის, რომელიც წარმოიშვა სამისიო სავაჭრო სქემებიდან, არის ნებაყოფლობითი.

**ცვლილებები ბასს 39-ში - “დერივატივების განახლება და ჰეჯირების აღრიცხვის გაგრძელება”** (გამოშვებულია 2013 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან)

ცვლილება ნებას რთავს ჰეჯირების აღრიცხვა შენარჩუნდეს ისეთ სიტუაციაში, სადაც დერივატივი, რომელიც გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტად, არის განახლებული (მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ კონტრაგენტის ჩანაცვლებაზე ახლით) კანონის თუ რეგულაციის შესაბამისად ცენტრალურ კონტრაგენტთან უნაღდო ანგარიშსწორებაზე გავლენის მოსახდენად კონკრეტული პირობების დაცვით. აღნიშნულ შესწორებულ სტანდარტს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### **გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული სტანდარტები**

არსებობს ზოგიერთი ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელთა გამოცემა სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრის შემდგომ, მაგრამ ისინი ჯერ კომპანიას არ გამოუყენებია. შემდეგი ჩამონათვალი მოიცავს სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს, რომლებიც კომპანიის მოსაზრებით გამოყენებული იქნება მომავალში, ამიტომ გეგმავს მათ გამოყენებას ძალაში შესვლის მომენტიდან.

**ფასს 9 “ ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და გაზომვა ”** (შესწორებულ იქნა 2014 წლის ივლისში და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან)

ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივების საჭიროა დაიყოს სამ კატეგორიად: რომელთა შეფასებაც აღიარების შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით უნდა მოხდეს, რომელთა შეფასებაც აღიარების შემდგომ რეალური ღირებულებით უნდა მოხდეს სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და რომელთა შეფასებაც აღიარების შემდგომ რეალური ღირებულებით უნდა მოხდეს მოგება-ზარალში (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ამოქმედებულია საწარმოს ბიზნეს მოდელის მიერ ფინანსური აქტივების მართვისათვის და თუ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს ცალ-ცალკე ძირსა და პროცენტს (SPPI). იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სავალო ინსტრუმენტებს ფლობს შეგროვებისათვის, ისინი შეიძლება აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით, თუკი აკმაყოფილებს

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

SPPI-ს მოთხოვნებს. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს და პორტფელის შემადგენელი ნაწილია, როცა კომპანია აგროვებს როგორც აქტივებიდან მიღებულ ფინანსურ ნაკადებს, ასევე ყიდის აქტივებს, შეიძლება დავაკლასიფიციროთ, როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI). ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს ფულად ნაკადებს და აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში (FVPL), მაგალითად, დერივატივები. ჩართული დერივატივები აღარ გამოიყოფა ცალკე ფინანსური აქტივებისგან, მაგრამ გაითვალისწინება SPPI-ს პირობების შეფასებისას.

- ინვესტიციები კაპიტალ ინსტრუმენტებში ყოველთვის ფასდება რეალური ღირებულებით. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი და წარადგინოს რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში იმ პირობით, რომ საწარმო არ ფლობს ამ ინსტრუმენტებს სავაჭრო მიზნებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ინსტრუმენტებს ფლობს ამ მიზნით, რეალურ ღირებულებაში ცვლილებები წარდგება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ის მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით უცვლელადაა გადატანილი ფასს 9-ში. მთავარი ცვლილება არის ის, რომ საწარმოს მოეთხოვება ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკში ცვლილებებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში.
- ფასს 9 გაუფასურების ზარალის აღიარებისათვის წარადგენს ახალ მოდელს - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) მოდელს. ეს არის „სამ ეტაპიანი“ მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია საწყისი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხში ცვლილებაზე. პრაქტიკულად, ამ ახალი მოდელის გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ კომპანიამ იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის გაუფასურებული (ან სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში მთელი სასიცოცხლო ციკლის მსდ), აქტივის თავდაპირველი აღიარებისთანავე უნდა აღრიცხოს ყველა დანაკარგი, რომელიც მოიცავს 12-თვიან მსდ-ს. როდესაც ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, გაუფასურება გამოიანგარიშება მთელი სასიცოცხლო ციკლის მსდ-ით და არა 12-თვიანით. მოდელი შეიცავს გამარტივებულ მიდგომას იჯარასა და სავაჭრო მოთხოვნებზე.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შესწორდა იმ მიზნით, რომ აღრიცხვას მეტი სისწორე შეეტანა რისკის მენეჯმენტში. სტანდარტი გვაწვდის ინფორმაციას ისეთ კომპანიებზე, რომლებმაც სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით აირჩიეს, ან ფასს 9-ის სააღრიცხვო მოთხოვნები, ან გააგრძელეს აღრიცხვა ბასს 39-ით ყველა ჰეჯირებისათვის, რადგანაც სტანდარტი ჯერჯერობით არ განსაზღვრავს აღრიცხვის მოთხოვნებს მაკრო ჰეჯირებისათვის.

კომპანია შეაფასებს ახალი სტანდარტების შესაძლო გავლენას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

#### “ცვეთისა და ამორტიზაციის მიღებული მეთოდების დაზუსტება” - შესწორებები ბასს 16-სა და ბასს 38-ში (გამოცემულია 2014 წლის 12 მაისს და ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან)

მოცემულ შესწორებაში ბასს-ი აზუსტებს, რომ აქტივის ცვეთის გამოთვლა შემოსავალზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით არ არის სათანადო, რადგან აქტივის გამოყენებიდან მიღებული შემოსავალი, ძირითადად, აისახება სხვა ფაქტორებისგან და არა აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარებით. აღნიშნულ შესწორებულ სტანდარტს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

#### “2014 წლის ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესებები” (გამოცემულია 2014 წლის 25 სექტემბერს და ეფექტურია 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული პერიოდებისათვის)

ეს შესწორება ვრცელდება 4 სტანდარტზე. ფასს 5 შესწორდა იმ მიზნით, რომ გადაცემის ბუნების ცვლილება (რეკლასიფიკაცია „გასაყიდად გამიზნულიდან“ „დისტრიბუციისათვის გამიზნულზე“ ან პირიქით) შეესაბამებოდა გაყიდვისათვის ან დისტრიბუციისათვის გეგმის ცვლილებას და არ იყო საჭირო მათი ამგვარად აღრიცხვა. ფასს 7-ის შესწორებაში დამატებითი მითითებებია, რაც ეხმარება მენეჯმენტს, განსაზღვროს გადმოცემული ფინანსური აქტივის მომსახურების პირობები და განსაზღვროს, წარმოადგენს თუ არა მიმდინარე მონაწილეობას ფასს 7-ის ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზნებისთვის.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესწორება ასევე აზუსტებს, რომ ფასს 7-ის ურთიერთჩათვლის შენიშვნები არ არის განსაკუთრებულად სავალდებულო ყველა შუალედური პერიოდისათვის, თუკი არ რის მოთხოვნილი ბასს 34-ით. ბასს 19-ის შესწორება აზუსტებს, რომ დასაქმების შემდგომი სარგებლის ვალდებულებებისთვის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, მაღალი ხარისხის კორპორატიული ბონდებში ღრმა ბაზრის არსებობა, ან თუ რომელი სახელმწიფო ბონდების გამოყენება უნდა მოხდეს საფუძვლად, უნდა განისაზღვროს იმ ვალუტის მიხედვით, რომელშიც ვალდებულებებია დენომინირებული და არა იმ ვალუტით, რომელშიც ისინი წარმოიშვა. ბასს 34 მოითხოვს ჯვარედინ დამოწმებას შუალედური ფინანსური ანგარიშგებებიდან „ინფორმაცია გაშიფრული ნებისმიერ ადგილას შუალედურ ანგარიშგებებში“

მოსალოდნელია, რომ შესწორებას არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**“ბასს 1-ის შენიშვნებთან დაკავშირებული შესწორებები”** (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში და ეფექტურია 2016 წლის 1 იანვარს დაწყებული პერიოდებისათვის)

სტანდარტი შესწორდა არსებითობის ცნების დასაზუსტებლად და ხსნის, რომ კომპანია არ საჭიროებს სპეციფიკური შენიშვნების გაკეთებას ფასს-ების მიხედვით, თუ შენიშვნაში გაშიფრული ინფორმაცია არის არამეტერიალური, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფასს-ი შეიცავს სპეციფიკური მოთხოვნების ჩამონათვალს ან ახასიათებს მათ, როგორც მინიმალურ მოთხოვნებს. სტანდარტი ასევე გვაწვდის ახალ მიდგომას ფინანსური ანგარიშგებების ჯამებისათვის, კერძოდ კი, ასეთი ჯამები (ა) უნდა შედგებოდეს ისეთი მუხლებისგან, რომელიც შედგება ფასს-ების შესაბამისად აღიარებული და აღრიცხული ოდენობებისგან; (ბ) მუხლები უნდა იყოს წარდგენილი და აღნიშნული ისეთი ფორმით, რომ ჯამს ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს; (გ) პერიოდიდან პერიოდად იყოს თანმიმდევრული; და (დ) არ იყოს უფრო მეტად წარმოჩენილი, ვიდრე ეს ფასს-ებით მოითხოვება.

მოსალოდნელია, რომ შესწორებას არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შეფასებები და დაშვებები გადაიხედება მიმდინარე საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხოლოდ აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდზე ან იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებში, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს ზემოქმედებას.

#### სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

კომპანია რეგულარულად აფასებს სესხების პორტფელს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს სესხების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო, თუ საჭიროა, ინდივიდუალური სესხის მომავალ ფულად ნაკადებსაც. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს მსესხებლის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სესხების პორტფელზე. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სესხების პორტფელის გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი ფაქტორი, რომელიც ამჟამად გამოიყენება სესხების გაუფასურების ანარიზის შეფასებისთვის, არის სესხის ვადაგადაცილების სტატუსი და სესხის ტიპი შემდეგი განაკვეთებით:

ვადაგადაცილების სტატუსი	რეზერვის პროცენტი
30 დღემდე დაგვიანება	2 - 10
30-დან 60 დღემდე დაგვიანება	10 - 30
60-დან 90 დღემდე დაგვიანება	30 - 50
90-დან 180 დღემდე დაგვიანება	50 - 100
180 დღეზე მეტი დაგვიანება	100

#### ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ცვდება და ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე. სასარგებლო მომსახურების ვადა ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებებს იმ პერიოდთან დაკავშირებით, რომლის განმავლობაშიც აქტივი გამოიმუშავებს ფულად ნაკადებს. აღნიშნული დაშვებები გადაიხედება პერიოდულად. შეფასებაში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს საბალანსო ღირებულების და კონკრეტულ პერიოდში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხული ცვთის თანხის არსებითი ვარიაცია.

#### მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადებისა და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, კომპანია დარწმუნებულია თუ არა, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება. კომპანია მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად, კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისათვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

#### სასამართლო დავები

კომპანია ქმნის ანარიცხს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილია მიმდინარე მოვალეობა, ან მოსალოდნელია კომპანიიდან რესურსების გასვლა და შესაძლებელია ამ თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კრიტერიუმები არაა დაკმაყოფილებული, პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია იხსნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ისეთი პირობითი ვალდებულების შესრულებამ, რომელიც არაა აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში ან არაა განმარტებული შენიშვნებში, შესაძლოა იქონიოს არსებითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს მის კონტროლს მიღმა არსებული გარკვეული ფაქტობრივი და იურიდიული საკითხების განსაზღვრას. კომპანია ყოველ საანგარიშგებო პერიოდში მიმოიხილავს მიმდინარე სასამართლო დავებს იმისათვის, რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხის შექმნის საჭიროება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში განხილული ფაქტორები მოიცავს სასამართლო დავის ბუნებას, სარჩელი ან შეფასებას, საქმის წარმოების პროცესი და ზარალის პოტენციური დონე იმ კანონმდებლობის პირობებში, რომელშიც მიმდინარეობს დავა, საქმის მიმდინარეობა (მათ შორის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე პერიოდში), იურიდიულ საკითხებში კონსულტანტების მოსაზრება, მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებული გამოცდილება და კომპანიის მენეჯმენტის ნებისმიერი გადაწყვეტილება სასამართლო დავისა თუ სარჩელის საპასუხოდ.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**5. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
ნაღდი ფული	247,990	144,803
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	30,278	25,420
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	90,446	125,953
მოკლევადიანი დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	466,896	-
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>835,610</b>	<b>296,176</b>

მოკლევადიანი დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს ბანკში განთავსებულ 3 თვეზე ნაკლები ვადის მქონე დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გამიფრულია მე-16 შენიშვნაში.

**6. გაცემული სესხები**

გაცემული სესხები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
მთლიანი გაცემული სესხები	7,981,069	3,891,646
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(190,873)	(80,537)
<b>წმინდა გაცემული სესხები</b>	<b>7,790,196</b>	<b>3,811,109</b>

ცვლილებები სესხის გაუფასურების ანარიცხებში 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	2014	2013
<b>ნაშთი პერიოდის დასაწყისში</b>	<b>80,537</b>	<b>-</b>
პერიოდის ხარჯი	158,309	80,537
ჩამოწერილი სესხების ამოღება	1,006	-
ჩამოწერები პერიოდის მანძილზე	(48,979)	-
<b>ნაშთი პერიოდის ბოლოს</b>	<b>190,873</b>	<b>80,537</b>

გაცემული სესხები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

გაცემული სესხები ვალუტების მიხედვით	2014 წლის 31 დეკემბერი		2013 წლის 31 დეკემბერი
	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
გაცემული სესხები სულ	6,909,839	1,071,230	3,891,646
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(169,654)	(21,219)	(80,537)
<b>წმინდა მისაღები სესხები</b>	<b>6,740,185</b>	<b>1,050,011</b>	<b>3,811,109</b>

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**6. გაცემული სესხები (გაგრძელება)**

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

რისკ ჯგუფი	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
30 დღემდე ვადაგადაცილება	7,881,838	3,878,240
30-60 დღის ვადაგადაცილება	4,223	-
60-90 დღის ვადაგადაცილება	13,017	10,400
90-180 დღის ვადაგადაცილება	81,991	3,006
<b>გაცემული სესხები სულ</b>	<b>7,981,069</b>	<b>3,891,646</b>
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(190,873)	(80,537)
<b>წმინდა მისაღები სესხები</b>	<b>7,790,196</b>	<b>3,811,109</b>

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი ინდივიდუალური სესხის ნაშთი არ აჭარბებს მთლიანი პორტფელის 1.5%-ს.

ინფორმაცია უზრუნველყოფის შესახებ მოცემულია ქვემოთ:

გაცემული სესხი უზრუნველყოფილია:	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
უძრავი ქონებით	6,964,732	3,423,575
მოძრავი ქონებით, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებით	804,210	365,440
დეპოზიტებით	21,254	22,094
<b>წმინდა გაცემული სესხები</b>	<b>7,790,196</b>	<b>3,811,109</b>

გაცემული სესხების რეკონსილაცია ხელშეკრულების მიხედვით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით:

	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
ხელშეკრულების მიხედვით გაცემული სესხი	7,964,309	3,856,219
ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული პროცენტი	100,928	66,583
<b>მთლიანი გაცემული სესხები ხელშეკრულების მიხედვით</b>	<b>8,065,237</b>	<b>3,922,802</b>
კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით *	(84,168)	(31,156)
<b>მთლიანი გაცემული სესხები</b>	<b>7,981,069</b>	<b>3,891,646</b>
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(190,873)	(80,537)
<b>წმინდა გაცემული სესხები</b>	<b>7,790,196</b>	<b>3,811,109</b>

\* შემოსავალი სესხის გაცემის საკომისიოდან, რომლის დარიცხვაც ხდება სესხის გაცემის თარიღში, ბასს 39-ის შესაბამისად აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი გულისხმობს ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლას და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე გადავადებას.



სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და საკომუნიკაციო მოწყობილობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ტექნიკური აღჭურვილობა	ძირითადი საშუალებები სულ	არამატერიალური აქტივები	სულ
დამატება 2013 წლის განმავლობაში	30,989	52,208	26,809	7,100	117,106	45,805	162,911
<b>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>30,989</b>	<b>52,208</b>	<b>26,809</b>	<b>7,100</b>	<b>117,106</b>	<b>45,805</b>	<b>162,911</b>
დამატება 2014 წლის განმავლობაში	42,927	13,565	36,402	12,600	105,494	-	105,494
<b>2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>73,916</b>	<b>65,773</b>	<b>63,211</b>	<b>19,700</b>	<b>222,600</b>	<b>45,805</b>	<b>268,405</b>
<b>დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია</b>							
2013 წლის ცვეთა და ამორტიზაცია	(3,731)	(6,706)	(1,190)	(629)	(12,256)	(2,134)	(14,389)
<b>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(3,731)</b>	<b>(6,706)</b>	<b>(1,190)</b>	<b>(629)</b>	<b>(12,256)</b>	<b>(2,134)</b>	<b>(14,390)</b>
2014 წლის ცვეთა და ამორტიზაცია	(9,801)	(11,590)	(5,091)	(1,581)	(28,063)	(9,161)	(37,224)
<b>2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(13,532)</b>	<b>(18,296)</b>	<b>(6,281)</b>	<b>(2,210)</b>	<b>(40,319)</b>	<b>(11,295)</b>	<b>(51,614)</b>
<b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b>							
<b>2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>27,258</b>	<b>45,502</b>	<b>25,619</b>	<b>6,471</b>	<b>104,850</b>	<b>43,671</b>	<b>148,521</b>
<b>2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>60,384</b>	<b>47,477</b>	<b>56,930</b>	<b>17,490</b>	<b>182,281</b>	<b>34,510</b>	<b>216,791</b>

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**8. სხვა აქტივები**

სხვა აქტივები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები ფულადი ტრანსფერებიდან	44,983	1,475
ავანსები	23,345	9,490
სხვა მოთხოვნები	1,432	-
<b>სხვა აქტივები სულ</b>	<b>69,760</b>	<b>10,965</b>

**9. მოგების გადასახადი**

ფასს-ებსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისა და საგადასახადო ბაზების მიხედვით არსებულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის. დროებითი სხვაობები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	დამატებული (გამოკლებული) შემოსავლების ანგარიშგებაში
გაცემული სესხებით	39,299	-	39,299	23,425
ძირითადი საშუალებებით	-	(19,832)	(19,832)	(7,523)
არამატერიალური აქტივებით	-	(212)	(212)	499
მიღებული და სუბორდინირებული სესხებით	4,593	-	4,593	1,972
სხვა ვალდებულებებით	2,842	-	2,842	2,774
გადავადებული საგადასახადო ზარალით	-	-	-	(31,236)
<b>საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)</b>	<b>46,734</b>	<b>(20,044)</b>	<b>26,690</b>	<b>(10,089)</b>
გადასახადების ურთიერთჩათვლა	(20,044)	20,044		
<b>საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)</b>	<b>26,690</b>	<b>-</b>	<b>26,690</b>	<b>(10,089)</b>

დროებითი სხვაობები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში
გაცემული სესხებით	15,874	-	15,874	15,874
ძირითადი საშუალებებით	-	(12,309)	(12,309)	(12,309)
არამატერიალური აქტივებით	-	(711)	(711)	(711)
მიღებული და სუბორდინირებული სესხები	2,621	-	2,621	2,621
სხვა ვალდებულებებით	68	-	68	68
გადავადებული საგადასახადო ზარალით	31,236	-	31,236	31,236
<b>საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)</b>	<b>49,799</b>	<b>(13,020)</b>	<b>36,779</b>	<b>36,779</b>
გადასახადების ურთიერთჩათვლა	(13,020)	13,020		
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>36,779</b>	<b>-</b>	<b>36,779</b>	<b>36,779</b>

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**9. მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2013	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2014
გაცემული სესხებით	15,874	<b>15,874</b>	23,425	<b>39,299</b>
ძირითადი საშუალებებით	(12,309)	<b>(12,309)</b>	(7,523)	<b>(19,832)</b>
არამატერიალური აქტივებით	(711)	<b>(711)</b>	499	<b>(212)</b>
მიღებული და სუბორდინირებული სესხებით	2,621	<b>2,621</b>	1,972	<b>4,593</b>
სხვა ვალდებულებებით	68	<b>68</b>	2,774	<b>2,842</b>
გადავადებული საგადასახადო ზარალით	31,236	<b>31,236</b>	(31,236)	-
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)</b>	<b>36,779</b>	<b>36,779</b>	<b>(10,089)</b>	<b>26,690</b>

მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
მიმდინარე მოგების გადასახადი	(13,226)	-
დროებითი სხვაობების ეფექტი	(10,089)	36,779
<b>მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი</b>	<b>(23,315)</b>	<b>36,779</b>

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირად:

	2014	2013
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე	91,192	(234,189)
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	(13,679)	35,128
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(9,636)	1,651
<b>მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი</b>	<b>(23,315)</b>	<b>36,779</b>

**10. მიღებული სესხები**

მიღებული სესხები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
მიღებული სესხები	6,940,490	2,495,526
დარიცხული პროცენტი	41,776	20,026
<b>მიღებული სესხები სულ</b>	<b>6,982,266</b>	<b>2,515,552</b>

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**10. მიღებული სესხები (გაგრძელება)**

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
სუბორდინირებული სესხები	1,276,566	1,189,366
სუბორდინირებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	2,623	2,443
<b>სუბორდინირებული სესხები სულ</b>	<b>1,279,189</b>	<b>1,191,809</b>

მიღებული სესხები მიმდინარე და გრძელვადიანი ნაწილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიღებული სესხები		სუბორდინირებული სესხები	
	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
მიმდინარე ნაწილი	3,674,216	1,452,589	2,623	2,444
გრძელვადიანი ნაწილი	3,308,050	1,062,963	1,276,566	1,189,365
<b>სულ</b>	<b>6,982,266</b>	<b>2,515,552</b>	<b>1,279,189</b>	<b>1,191,809</b>

მიღებული სესხების სახელშეკრულებო ვადების და სავალუტო ანალიზი მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხების დასაფარი ნაშთი და დარიცხული პროცენტი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2014		31 დეკემბერი 2013	
		მიღებული სესხი	დარიცხული პროცენტი	მიღებული სესხი	დარიცხული პროცენტი
სს ბაზის ბანკი	GEL	768,305	4,580	-	-
ფიზიკური პირები	GEL	84,000	1,207	43,000	378
ფიზიკური პირები	USD	5,879,680	34,473	2,296,259	18,080
ფიზიკური პირები	EUR	40,781	267	-	-
იურიდიული პირები	USD	167,724	1,249	156,267	1,568
<b>მიღებული სესხები სულ</b>		<b>6,940,490</b>	<b>41,776</b>	<b>2,495,526</b>	<b>20,026</b>

სუბორდინირებული სესხები მიღებულია მხოლოდ ფიზიკური პირებისგან და ნომინირებულია აშშ დოლარში.

**11. სხვა ვალდებულებები**

სხვა ვალდებულებები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
სავაჭრო ვალდებულებები	48,400	48,105
საგადასახადო ვალდებულებები	16,193	1,102
სხვა ვალდებულებები	32	1,892
<b>სხვა ვალდებულებები სულ</b>	<b>64,625</b>	<b>51,099</b>

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**12. საწესდებო კაპიტალი**

სს „მიკრო საფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს.

მთლიანი ავტორიზებული კაპიტალი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,000,000 აქციას. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ იქნა შესყიდული მთლიანი ავტორიზებული კაპიტალი.

დაარსებიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე 742,500 აქცია სრულად ანაზღაურებული იქნა ღირებულებით 1 ლარი აქციაზე და ჯამური ღირებულებით 742,500 ლარი.

აქციების მთლიანმა ღირებულებამ აშშ დოლარში გამოშვების დღისთვის შეადგინა 444,294 აშშ დოლარი.

2014 წლის 31 დეკემბრის შემდეგ გამოშვებული აქციების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

გამომშვებული აქციები ნომინალური ღირებულებით 1 ლარი აქციაზე	31 დეკემბერი 2014		31 დეკემბერი 2013	
	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება ლარში	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება ლარში
სულ რაოდენობა და საწესდებო კაპიტალის ჯამური ღირებულება	742,500	742,500	742,500	742,500

ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ მოცემულია 1-ელ შენიშვნაში.

კომპანიაში 2014 და 2013 წლის მანძილზე არ მომხდარა დივიდენდების გაცემა.

**13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი**

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილი:	2014	2013
გაცემული სესხებიდან	1,803,779	387,919
ბანკში განთავსებები	4,358	12,594
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>1,808,137</b>	<b>400,513</b>
<b>საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილი:</b>		
ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხებიდან	(690,783)	(165,229)
ბანკებიდან მიღებული სესხებიდან	(112,480)	-
სხვა მიღებული სესხებიდან	(25,361)	(14,904)
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>(828,624)</b>	<b>(180,133)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე</b>	<b>979,513</b>	<b>220,380</b>

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2014	2013
რეკლამა და მარკეტინგი	151,252	85,173
ოფისის იჯარა	109,443	62,839
საკონსულტაციო მომსახურება	42,518	16,704
ცვტა და ამორტიზაცია	37,224	14,390
უსაფრთხოება	20,000	15,010
კრედიტინფო	11,052	5,934
კომუნიკაცია	10,830	5,460
საბანკო ოპერაციები	10,746	7,501
კომუნალური	9,751	5,601
საკანცელარიო	8,141	5,706
სატრანსპორტო	5,315	816
მიმდინარე რემონტი	2,636	127
თანამშრომელთა სწავლება	2,100	563
საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა	1,568	743
სხვა ხარჯები	5,254	1,891
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი</b>	<b>427,830</b>	<b>228,458</b>

**15. პირობითი ვალდებულებები**

**სასამართლო დავა**

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

კომპანიის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს). გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, კომპანია ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

**საოპერაციო იჯარით წარმოქმნილი ვალდებულებები**

კომპანის საოპერაციო იჯარით ნაქირავები აქვს ოფისები. როგორც წესი, იჯარა გრძელდება 6 წლის ვადით, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია ხელშეკრულების განახლება. შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელია შემდეგ ვადაში:

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
3 თვემდე	31,774	25,159
3 თვიდან 1 წლამდე	95,323	75,476
1-დან 2 წლამდე	127,097	100,634
2-დან 3 წლამდე	127,097	100,634
3 წელზე მეტი	230,378	215,919
<b>მომავალი საიჯარო გადასახდელები</b>	<b>611,670</b>	<b>517,823</b>

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდებისთვის საოპერაციო იჯარის ხარჯი სრული შემოსავლის შემოსავლი ანგარიშგებაში აღიარებული იქნა 109,443 და 62,839 ლარის ოდენობით.

## 16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლვადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისო-ს რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიას საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ.

**16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

კომპანია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად.

შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარეშე)	5	587,620	151,373
გაცემული სესხები	6	7,790,196	3,811,109
<b>საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა</b>		<b>8,377,816</b>	<b>3,962,482</b>

კომპანიის საკრედიტო რისკი გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით კომპანია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია მომდევნო გვერდზე მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.



სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შედეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი *	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	835,610	-	-	-	-	835,610
გაცემული სესხები	6	1,439,044	1,981,035	795,450	519,111	3,055,556	7,790,196
<b>სულ ფინანსური აქტივები 2014 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>2,274,654</b>	<b>1,981,035</b>	<b>795,450</b>	<b>519,111</b>	<b>3,055,556</b>	<b>8,625,806</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>							
მიღებული სესხები	10	610,686	3,062,130	2,791,782	500,920	16,748	6,982,266
სუბორდინირებული სესხები	10	2,623	-	-	1,276,566	-	1,279,189
<b>სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>613,309</b>	<b>3,062,130</b>	<b>2,791,782</b>	<b>1,777,486</b>	<b>16,748</b>	<b>8,261,455</b>
სხვა ვალდებულებები	11	10,281	13,045	25,074	-	-	48,400
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები 2014 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>623,590</b>	<b>3,075,175</b>	<b>2,816,856</b>	<b>1,777,486</b>	<b>16,748</b>	<b>8,309,855</b>
მომავალი საიჯარო გადასახდელები	15	31,774	95,323	127,097	127,097	230,378	611,670
<b>ღია საბალანსო პოზიცია 2014 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>1,619,290</b>	<b>(1,189,463)</b>	<b>(2,148,503)</b>	<b>(1,385,472)</b>	<b>2,808,430</b>	<b>(295,719)</b>
<b>აკუმულირებული ლიკვიდურობის პოზიცია 2014 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>1,619,290</b>	<b>429,827</b>	<b>(1,718,676)</b>	<b>(3,104,148)</b>	<b>(295,719)</b>	

\* ზემოთ წარდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა დაფუძნებულია მათი დაფარვის ვადებზე, თუმცა, გაცემული სესხების წინსწრებით დაფარვის პრაქტიკიდან გამომდინარე, 3 წელზე მეტი ვადიანობის აქტივები, ჩვეულებისამებრ, იფარება 1 - 1.5 წელში.

ღია საბალანსო პოზიცია განახლდა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აქტივების გამოშვების მერე, რის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი *	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	296,176	-	-	-	-	296,176
გაცემული სესხები	6	176,688	2,005,205	123,888	677,895	827,433	3,811,109
<b>სულ ფინანსური აქტივები 2013 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>472,864</b>	<b>2,005,205</b>	<b>123,888</b>	<b>677,895</b>	<b>827,433</b>	<b>4,107,285</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>							
მიღებული სესხები	10	20,026	1,432,563	1,057,407	5,556	-	2,515,552
სუბორდინირებული სესხები	10	2,444	-	-	-	1,189,365	1,191,809
<b>სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>22,470</b>	<b>1,432,563</b>	<b>1,057,407</b>	<b>5,556</b>	<b>1,189,365</b>	<b>3,707,361</b>
სხვა ვალდებულებები	11	13,045	-	35,060	-	-	48,105
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები 2013 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>35,515</b>	<b>1,432,563</b>	<b>1,092,467</b>	<b>5,556</b>	<b>1,189,365</b>	<b>3,755,466</b>
მომავალი საიჯარო გადასახდელები	15	25,159	75,476	100,634	100,634	215,919	517,823
<b>ღია საბალანსო პოზიცია 2013 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>412,190</b>	<b>497,166</b>	<b>(1,069,213)</b>	<b>571,705</b>	<b>(577,851)</b>	<b>(166,004)</b>
<b>აკუმულირებული ლიკვიდურობის პიოზიცია 2014 წლის 31 დეკემბერს</b>		<b>412,190</b>	<b>909,357</b>	<b>(159,857)</b>	<b>411,848</b>	<b>(166,004)</b>	

მენჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, იმისათვის რომ შეასრულოს აღიარებული და გარესაბალანსო ვალდებულებები.

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

**- სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	GEL	USD 1 = 1.8636 GEL	EUR 1 = 2.2656 GEL	31 დეკემბერი 2014
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	121,488	624,700	89,422	835,610
გაცემული სესხები	6	1,050,011	6,740,185	-	7,790,196
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>		<b>1,171,499</b>	<b>7,364,885</b>	<b>89,422</b>	<b>8,625,806</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
მიღებული სესხები	10	858,092	6,083,126	41,048	6,982,266
სუბორდინირებული სესხები	10	-	1,279,189	-	1,279,189
სხვა ვალდებულებები	11	48,400	-	-	48,400
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>906,492</b>	<b>7,362,315</b>	<b>41,048</b>	<b>8,268,807</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>		<b>265,007</b>	<b>2,570</b>	<b>48,374</b>	<b>356,999</b>

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	GEL	USD 1 = 1.7363 GEL	EUR 1 = 2.3891 GEL	31 დეკემბერი 2013
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	47,405	214,758	34,013	296,176
გაცემული სესხები	6	-	3,811,109	-	3,811,109
<b>ფინანსური აქტივები სულ</b>		<b>47,405</b>	<b>4,025,867</b>	<b>34,013</b>	<b>4,107,285</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
მიღებული სესხები	10	43,378	2,472,174	-	2,515,552
სუბორდინირებული სესხები	10	-	1,191,809	-	1,191,809
სხვა ვალდებულებები	11	48,105	-	-	48,105
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>91,483</b>	<b>3,663,983</b>	<b>-</b>	<b>3,755,466</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>		<b>(44,078)</b>	<b>361,884</b>	<b>34,013</b>	<b>351,819</b>

**სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი”**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

**16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	2014	2013	2014	2013
10% ზრდა	257	36,188	4,837	3,401
10% შემცირება	(257)	(36,188)	(4,837)	(3,401)

ზემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 10%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე.

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრულ ზრდას ან შემცირებას საბაზრო გაცვლით კურსებში არ ექნება არსებითი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ან კაპიტალზე 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**- საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა კომპანიაზე. იგი წარმოაჩენს კომპანიის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	7,790,196	3,811,109
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(8,261,455)	(3,707,361)
<b>საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის წმინდა გეპი</b>	<b>(471,259)</b>	<b>103,748</b>

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მოცემულია ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში მოცემულ ინფორმაციაში.

კომპანია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზს.

კომპანიის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

### 17. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ კომპანიამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

### 18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- (ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- (დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	მფლობელი	ძირითადი მმართველი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა
მიღებული სესხები	10	2,627,918	-	464,945	6,982,266
სუბორდინირებული სესხები	10	1,279,189	-	-	1,279,189
საპროცენტო ხარჯი	13	(365,239)	-	(50,852)	(828,624)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		-	(150,024)	-	(341,145)

## სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2014 და 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ქართულ ლარში)

#### 18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	მფლობელი	პირითადი მმართველი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა
მიღებული სესხები	10	834,849		175,279	2,515,552
სუბორდინირებული სესხები	10	1,191,809			1,191,809
საპროცენტო ხარჯი	13	-		(15,961)	(180,133)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		-	(87,302)		(161,708)

#### 19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

##### კაპიტალის გაზრდა

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე კომპანიამ გამოუშვა დამატებითი აქციები. კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1,600,000 ლარამდე (861,427 აშშ დოლარი ტრანზაქციის დღისთვის) 857,500 ლარის (417,133 აშშ დოლარის) დამატებითი ჩვეულებრივი აქციის გამოშვებით. ამ ტრანზაქციის შედეგად წარმოიშვა 210,734 ლარის (102,512 აშშ დოლარის) საემისიო კაპიტალი. შედეგად, მთლიანმა საწესდებო და საემისიო კაპიტალმა 2015 წლის 2 თებერვლისთვის შეადგინა 1,810,734 ლარი (963,939 აშშ დოლარი ტრანზაქციის დღისთვის). ახალი აქციები შესყიდულ იქნა როგორც არსებული მეწილეების, ისე ახალი მფლობელის - ოთარ რუხაძის მიერ. 400,000 ჩვეულებრივი აქცია არის ავტორიზებული, თუმცა არაა შესყიდული 2015 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით.

##### მნიშვნელოვანი ახალი სუბორდინირებული სესხები

კომპანიამ 2015 წლის 22 აპრილს აიღო მნიშვნელოვანი სუბორდინირებული სესხი 200,000 აშშ დოლარის ოდენობით, როგორც დაფინანსების დამატებითი წყარო.